



თვითმმართველი თემი
თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 34

„02“ აპრილი 2015 წელი

თელავი - გომბორი - ვაზიანის ცენტრალური საავტომობილო გზის სოფელ ვარდისუბნის მონაკვეთიდან მშენებლობის ნებართვასთან დაკავშირებული პროექტების სახეობების განსაზღვრის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების და „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვოს პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების 31-ე მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის შესაბამისად,

1. განისაზღვროს თელავი - გომბორი - ვაზიანის ცენტრალური საავტომობილო გზის სოფელ ვარდისუბნის მონაკვეთიდან ახალი შუამთის საავტომობილო გზის გადასახვევამდე, გზის ორივე მხარეს, მშენებლობის ნებართვასთან დაკავშირებული პროექტების შემდეგი სახეობები:
 - ა) საზოგადოებრივი კვების ობიექტები;
 - ბ) კულტურული, სპორტულ - გამაჯანსაღებელი ობიექტები;
 - გ) სასურსათო მაღაზიები;
 - დ) სხვა ტურისტული დანიშნულების ობიექტები;
2. განკარგულების შესრულება უზრუნველყოს გამგეობის ზედამხედველობის და არქიტექტურის და მშენებლობის სამსახურებმა;
3. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე;
4. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია თელავის რაიონულ სასამართლოში, მისი ძალაში შესვლიდან 1 თვის ვადაში (მის. ქ. თელავი, დ. აღმაშენებლის გამზირი №41).

საკრებულოს თავმჯდომარე  პაატა გიორგობიანი